ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
GEO 02-036/24

ქ. თბილისი **23 იანვარი 2024 წელი**

ერთი მხრივ (შემსყიდველი): **სსიპ „იუსტიციის სახლი“**
წარმოდგენილი: **თავმჯდომარის მოადგილის ავთანდილ კოხრეიძის სახით**
საიდენტიფიკაციო კოდი: **204580202**
მისამართი: **ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1**
მიმღები: **სახელმწიფო ხაზინა**
ბანკის კოდი: **TRESGE22**
სახაზინო კოდი: **707467520**

მეორე მხრივ (მიმწოდებელი): **შპს „მაგთიკომი“**
წარმოდგენილი: **გენერალური დირექტორის მოადგილის ზურაბ ზარიძის სახით,**
საიდენტიფიკაციო კოდი: **204876606**
მისამართი: **ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას N7**
ბანკის დასახელება: **სს „საქართველოს ბანკი“**
ბანკის კოდი: **BAGAGE22**
IBAN: **GE66 BG00 0000 0241 6079 01**

<u>სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:</u>

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებანი

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

1.1. მხარე/მხარეები - მაგთიკომი ან/და შემსყიდველი (კონტექსტის შესაბამისად);
1.2. საანგარიშო პერიოდი - კალენდარული თვე;
1.3. სამუშაო დღე – ნებისმიერი დღე შაბათის, კვირისა და კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების/უქმე დღეების გარდა;
1.4. სამუშაო საათი – სამუშაო დღის 09:00 საათიდან 18:00 საათამდე.
1.5. პორტალი - შემსყიდველის დაკვეთით, მაგთიკომის მიერ შექმნილი თვითმომსახურების პროგრამა, რომლის გამოყენებით ბანკს საშუალება აქვს, ისარგებლოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული და პორტალით ხელმისაწვდომი ოპერაციებით;
1.6. კორპორატიული ხელშეკრულება - მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის თაობაზე და მასთან დაკავშირებული გარიგებები;
1.7. კორპორატიული ნომრები - კორპორატიული ხელშეკრულების თანახმად, შემსყიდველის სახელზე რიცხული და შემსყიდველის მიერ წინასწარ მითითებული სააბონენტო ნომრები, რომლებიც ჩართულები არიან კორპორატიულ ქსელში, როგორც ეს განმარტებულია კორპორატიული ხელშეკრულებით;
1.8. სატელეფონო ზარის დამისამართება (call forwarding) - შემომავალი სატელეფონო ზარის დამისამართება სხვა სატელეფონო ნომერზე.
1.9. უფლებამოსილი პირი/პირები - შემსყიდველის მიერ დანართ N1-ში მითითებული პირები ან პირები რომელიც მომავალში მითითებული იქნება შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით, რომელთაც ექნებათ წვდომა პორტალზე და რომელთა სახელით განხორციელებული ქმედებები ჩაითვლება შემსყიდველის ქმედებად.
1.10. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინები, რომლებიც არ არის განმარტებული, განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ „იუსტიციის სახლის“ საჭიროებისთვის:
- <u>კორპორატიულ ქსელში ჩართულ, პერსონალური ასისტენტის სააბონენტო მობილურ ნომრებზე (დანართი N1) ზარის დამისამართების პორტალის შექმნა და სერვისის გააქტიურება ;</u>
- <u>CPV კოდი: 64200000 - სატელეკომუნიკაციო მომსახურებები</u>

2.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს პორტალის შექმნის და პორტალით სარგებლობის ყოველთვიური საფასური წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. მუხლი. პორტალით სარგებლობა და მისი ფუნქციები

3.1. პორტალით სარგებლობის უფლების მინიჭება ხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით შემსყიდველი ადასტურებს, რომ იგი გაეცნო პორტალს, შეამოწმა მისი ფუნქციონირება და აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს და მოლოდინს.
3.2. მაგთიკომი უზრუნველყოფს შემსყიდველის პორტალზე წვდომას უფლებამოსილი პირების (user) (არაუმეტეს 5 პირისათვის) მეშვეობით, მაგთიკომის მიერ გამოყოფილი მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით.

3.3. უფლებამოსილ პირებს, მაგთიკომი მიანიჭებს მომხმარებლის სახელსა და დროებით პაროლს. უფლებამოსილი პირების მიერ, პორტალზე შესვლისთანავე უნდა განხორციელდეს პაროლის ცვლილება.

3.4. უფლებამოსილი პირების პორტალზე დარეგისტრირების შემდგომ, განხორციელებული ნებისმიერი ქმედება წარმოადგენს შემსყიდველის სურვილითა და სახელით პორტალით სარგებლობას და მისგან გამომდინარე შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველს.

3.5. პორტალით სარგებლობა შესაძლებელია პორტალით განსაზღვრული წესების შესაბამისად და მხოლოდ შემსყიდველის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირებისთვის მათზე გაცემული მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით, აქედან გამომდინარე შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა სათანადოდ დაცული ჰქონდეს მომხმარებლის სახელი და პაროლი პორტალით არაავტორიზებული სარგებლობის თავიდან აცილების მიზნით.

3.6. მხარეები თანმდებიან რომ პორტალით შესაძლებელი უნდა იყოს:

3.6.1. კორპორატიულ ნომრებზე ნებისმიერი შემომავალი ზარის დამისამართება სხვა სატელეფონო ნომერზე;

3.6.2. კორპორატიულ ნომრებზე ნებისმიერი შემომავალი ზარის დამისამართება სხვა სატელეფონო ნომერზე, როდესაც ზარის ადრესატი კორპორატიული ნომერი დაკავებულია;

3.6.3. კორპორატიულ ნომრებზე ნებისმიერი შემომავალი ზარის დამისამართება სხვა სატელეფონო ნომერზე, როდესაც ზარის ადრესატი კორპორატიული ნომერი გათიშულია ან სხვა მიზეზით ვერ მყარდება სატელეფონო შეერთება.

3.6.4. დამისამართებულ ნომერთან დაკავშირების შეუძლებლობის შემთხვევაში (დაკავება, გათიშვა ან სხვა მიზეზი) შემომავალი ზარის დამისამართება სხვა ნომერზე;

3.6.5. დამისამართების გათიშვა;

3.6.6. დამისამართებული ნომრის შეცვლა;

3.6.7. ადრესატი კორპორატიული ნომრის შეცვლა/დამატება.

3.7. შემომავალი ზარის დამისამართება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადრესატი ნომერი ჩართულია კორპორატიულ ქსელში. ნებისმიერი მიზეზით კორპორატიული ნომრის კორპორატიული ქსელიდან გათიშვის შემთხვევაში ავტომატურად უქმდება არსებული დამისამართება.

3.8. დამისამართებული ნომრის სისწორეზე პასუხისმგებელია შემსყიდველი. ნომერი რომელზეც მისამართდება ზარი, შესაძლებელია იყო ნებისმიერი ნომერი (კორპორატიული, მობილური, ფიქსირებული), იმ პირობით, რომ ნომერი უნდა იყოს რეალური და აქტიური, წინააღმდეგ შემთხვევაში ზარი არ განხორციელდება.

3.9. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ითხოვს პორტალზე სხვა სერვისის/დამატებითი ფუნქციონალის დამატებას, მხარეები დამატებით შეთანხმდებიან მის საფასურსა და შესრულების ვადებზე.

3.10. პორტალით სარგებლობის დროს ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს მაგთიკომს დანართ N1-ში მითითებულ საკონტაქტო ელ. ფოსტის მისამართებზე. ასეთი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს შემდეგი რეაგირება: ა) აღადგინოს პორტალის გამართული მუშაობა თუ შეფერხება მაგთიკომის მხარესაა ან ბ) შეატყობინოს შემსყიდველს პორტალის შეფერხების სავარაუდო მიზეზების თაობაზე.

4. საფასური და ანგარიშსწორება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: <u>480.00 ლარი (ოთხას ოთხმოცი ლარი და 00 თეთრი);</u>

4.2. ერთეულ კორპორატიულ ნომერზე ერთი თვის პორტალით სარგებლობის საფასური შეადგენს - <u>10 ლარი (დღგ-ს ჩათვლით),</u> რომელზეც გააქტიურდება დამისამართება. ამ პუნქტის მიზნებისთვის გააქტიურებულ კორპორატიულ ნომრად ითვლება ნომერი, რომელიც წარმოადგენს კორპორატიულ ნომერს და უფლებამოსილი პირის მიერ, პორტალის საშუალებით განხორციელდება ამ ნომერზე შემომავალი ზარის დამისამართება სხვა ნომერზე. ამასთან, საფასურის დარიცხვა ხორციელდება შემდეგი პრინციპის დაცვით: პორტალით სარგებლობის საფასური ერიცხება კორპორატიული ნომრის გააქტიურებისთანავე (დამისამართების ფუნქციის გაატიურებისთანავე) და მიუხედავად ნომრის გააქტიურების თარიღისა, პორტალით სარგებლობის საფასური მოქმედებს გააქტიურების თვის ბოლო რიცხვამდე. იმ შემთხვევაში, თუ ნომრის დამისამართება გაითიშება საანგარიშო თვის დასრულებამდე, პორტალით სარგებლობის საფასური არ იცვლება.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია პორტალის შექმნის საფასური გადაიხადოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4. შემსყიდველი ვალდებულია პორტალით სარგებლობის საფასური გადაიხადოს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე, მაგთიკომის მიერ წარგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად.

4.5. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით, ამ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების შესაბამისად.

4.6. შემსყიდველისთვის ცნობილია, რომ გარდა პორტალით სარგებლობის საფასურისა, ზარის ღირებულების საფასური ერიცხება ყველა კორპორატიულ ნომერს, რომლიდანაც ხორციელდება ზარის დამისამართება და აღნიშნული საფასური დარიცხული და ანაზღაურებული იქნება კორპორატიული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4.7. დაფინანსების წყარო: **სსიპ „იუსტიციის სახლის“ 2024 წლის საკუთარი შემოსავლები - 451.60 ლარი**
სსიპ „იუსტიციის სახლის“ 2025 წლის საკუთარი შემოსავლები - 28.40 ლარი

5. მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: **2024 წლის 22 იანვრიდან - 2025 წლის 22 იანვრის ჩათვლით.**

5.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1 - სსიპ "იუსტიციის სახლის" თბილისის ცენტრალური ფილიალი.**

6. პორტალით სარგებლობის სპეციფიკური პირობები

6.1. პორტალით სარგებლობა შესაძლებელია ნებისმიერი ისეთი ტერმინალური მოწყობილობის საშუალებით, რომელსაც გააჩნია მონაცემთა გადაცემა-მიღების ფუნქცია, გააჩნია შესაბამისი თავსებადობა და კავშირი აქვს ინტერნეტთან.

6.2. მხარეები თანხმდებიან, რომ პორტალი გამოყენებული იქნება შემსყიდველის მიერ მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის.

6.3. შემსყიდველი აცნობიერებს, რომ პორტალის გამართული და შეუფერხებელი სარგებლობა დამოკიდებულია ტერმინალური მოწყობილობის თავსებადობაზე, ტექნიკურ გამართულობაზე და ასეთი მოწყობილობის ფუნქციონალობაზე, ისევე როგორც ინტერნეტთან წვდომაზე/მის ხარისხზე. აქედან გამომდინარე მაგთიკომი პასუხს არ აგებს პორტალით სარგებლობის ფარგლებში მიწოდებული მომსახურების დროულობაზე, გამართულობაზე და ხელმისაწვდომობაზე.

6.4. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ პორტალით სარგებლობა გულისხმობს ინტერნეტის აქტიურ გამოყენებას, მაგთიკომი გარანტიას არ იძლევა, რომ პორტალი ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერ დროს.

6.5. შემსყიდველი პასუხისმგებელია პორტალის ანგარიშის უსაფრთხოებაზე, მომხმარებლის სახელისა და პაროლი დაცულობაზე. შემსყიდველი პასუხს აგებს პორტალის ანგარიშის არავტორიზებულ გამოყენებაზე, თუ შემსყიდველი რაიმე სახით გაუმჟღავნებს ანგარიშის დეტალებს/მონაცემებს სხვა პირს ან/და თუ შემსყიდველის აპარატურა/ქსელი არ იქნება დაცული სწორად.

6.6. თუ პორტალზე მოცემული ინფორმაცია არ იქნება შემსყიდველისთვის სათანადოდ აღქმადი, მას უფლება აქვს ქმედების განხორციელებამდე დაუკავშირდეს მაგთიკომის წარმომადგენელს, მიიღოს ინფორმაცია მისთვის სასურველ საკითხზე. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი არ გამოიყენებს წინამდებარე ქვეპუნქტით განსაზღვრულ უფლებას, ითვლება რომ მან სათანადოდ/დეტალურად აღიქვა პორტალის მეშვეობით განხორციელებული ქმედების შინაარსი, მას გაცნობიერებულად სურდა ამ ქმედების შედეგად დამდგარი შედეგი და შესაბამისად მას არ შეიძლება მომავალში ჰქონდეს რაიმე სახის პრეტენზია თუ მოთხოვნა ამ ფაქტთან დაკავშირებით.

6.7. პორტალის მეშვეობით ან შესაბამისი ტერმინალური მოწყობილობის ეკრანზე გამოტანილი შეტყობინება, რომელიც საჭიროებს შემსყიდველის მხრიდან მიღების ფაქტის/ქმედების დადასტურებას, თანხმობის ღილაკის (OK/დიახ) დაჭერის შემთხვევაში ჩაითვლება შემსყიდველის თანხმობად/ნების გამოვლენად.

6.8. შემსყიდველი აცნობიერებს, რომ პორტალი წარმოადგენს მაგთიკომის მიერ შექმნილ პროგრამას და წინამდებარე ხელშეკრულებით შემსყიდველს არ წარმოეშობა რაიმე სახის საკუთრების უფლება პორტალზე და აკრძალულია მისი რაიმე სახით გადაკეთება/რეპროდუცირება. წინამდებარე ხელშეკრულება შემსყიდველს ანიჭებს მხოლოდ პორტალით სარგებლობის უფლებას მხოლოდ ამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში და მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობითა და მიზნით.

6.9. შემსყიდველისთვის ცნობილია, რომ პორტალის გამართული მუშაობისათვის დროდადრო შესაძლოა საჭირო გახდეს გარკვეული განახლებების/სამუშაოების ჩატარება, რაც გამოიწვევს პორტალით სარგებლობის შეჩერებას/შეზღუდვას და რის თაობაზეც მაგთიკომი შეატყობინებს შემსყიდველს 1 სამუშაო დღით ადრე. შეტყობინებაში მითითებული იქნება პორტალით სარგებლობის შეჩერების/შეზღუდვის დრო და სავარაუდო ხანგრძლივობა. განახლებების/სამუშაოების ჩატარების პერიოდში პორტალი არ იქნება ხელმისაწვდომი/იქნება შეზღუდული და ამ შემთხვევაში არ შეიძლება მაგთიკომს დაეკისროს რაიმე სახის პასუხისმგებლობა.

6.10. შემსყიდველისთვის ცნობილია, რომ პორტალის გამართული მუშაობისათვის შესაძლოა დროდადრო საჭირო გახდეს შემსყიდველის მხრიდან გარკვეული ქმედებების (განახლებების, მითითებების, გადატვირთვისა, სახელმძღვანელო წესების თუ სხვა მსგავსი ტიპის მოთხოვნები) შესრულება.

6.11. მაგთიკომს უფლება აქვს აწარმოოს ჩანაწერების ისტორია უფლებამოსილი პირების მიერ პორტალზე ელექტრონულად განხორციელებული ნებისმიერი ქმედების შესახებ.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის და მიღება-ჩაბარების გაფორმების დღიდან და მოქმედებს **<u>2025 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.</u>**

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით;

8.4. თუ მხარე ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე მხარე უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან მის მიერ განსაზღვრული გონივრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარისთვის წერილობითი შეტყობინებით;

8.5. ხელშეკრულება შესაძლებელია ვადამდე შეწყდეს:

8.5.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

8.5.2. ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;

8.5.3. მაგთიკომის მიერ ცალმხრივად, იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი ხდება მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ობიექტური მიზეზების გამო;

8.5.4. ცალმხრივად, ერთ-ერთი მხარის მიერ 30 დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

8.5.5. ცალმხრივად, ერთ-ერთი მხარის მიერ თუ მეორე მხარე არღვევს ხელშეკრულების პირობებს და დამრღვევი მხარის მიერ არ იქნება აღმოფხვრილი დარღვევა მხარის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში.

8.6. წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდება თუ შეწყდა კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გაფორმებული CON 02-329/22 ხელშეკრულება.
8.7. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ან/და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.

9. პორტალით სარგებლობის შეზღუდვა

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეცვალოს/დაამატოს უფლებამოსილი პირები, რის თაობაზეც უნდა შეატყობინოს მაგთიკომს ამ ხელშეკრულების მე-12 მუხლით გათვალისწინებული წესით.
9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია კონკრეტულ უფლებამოსილ პირს შეუზღუდოს ან შეუწყვიტოს პორტალით სარგებლობა, შემსყიდველი ვალდებულია ამ ხელშეკრულების მე-12 მუხლით გათვალისწინებული წესით შეატყობინოს მაგთიკომს აღნიშნულის შესახებ.
9.3. შემსყიდველი ვალდებულია საიმედოდ უზრუნველყოს პორტალის სარგებლობისათვის განსაზღვრული მომხმარებლის სახელი და პროლის დაცულობა გამჟღავნებისგან და დროულად შეატყობინოს და მოსთხოვოს მაგთიკომს ყველა უფლებამოსილი პირის პროლის/მომხმარებლის სახელის ცვლილება რაიმე სახის საეჭვო ქმედების აღმოჩენის შემთხვევაში.
9.4. წინამდებარე ხელშკერულების 9.1; 9.2 და 9.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნება ასეთი ოთხოვნის მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.
9.5. შეტყობინების საფუძველზე მაგთიკომი მოახდენს შესაბამისი უფლებამოსილი მომხმარებლის სარგებლობის შეზღუდვას/დეაქტივაციას ამ მუხლით დადგენილ ვადებში. მაგთიკომის მხრიდან უფლებამოსილი მომხმარებლის სარგებლობის შეზღუდვამდე/დეაქტივაციამდე პროლით პორტალით სარგებლობა მიიჩნევა შემსყიდველის მიერ პორტალით სარგებლობად.
9.6. ამავე მუხლის 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევის დადგომისას, მაგთიკომის მხრიდან განხორციელდება უფლებამოსილი პირების მომხმარებლის სახელისა და პროლის ცვლილება, დროებითი პროლის მინიჭებით. უფლებამოსილი პირების მიერ, პორტალზე შესვლისთანავე უნდა განხორციელდეს პროლის ცვლილება.
9.7. მხარეთა შორის კორპორატიული ხელშეკრულების შეწყვეტა ავტომატურად იწვევს უფლებამოსილი პირების მხრიდან პორტალით სარგებლობის უფლების შეწყვეტას და პორტალით განხორციელებული დამისამართების დეაქტივაციას.

10. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2. მხარეები თანხმდებიან, რომ დავის წარმოშობის შემთხვევაში დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

11. კომუნიკაცია

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის წერილობით შეტყობინებად მიიჩნევა მხარის მისამართზე გაგზავნილი წერილი და იგი ჩაბარებულად ითვლება შემდგომ სამუშო დღეს.
11.2. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ წერილობით შეტყობინებად ასევე მიჩნეულ იქნება დანართ N1-ში მითითებული მხარის საკონტაქტო ელექტრონული ფოსტიდან მეორე მხარის საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება, იმ პირობით, რომ აუცილებლობის შემთხვევაში (მხარის მოთხოვნისას) შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს. ელ. ფოსტა მიღებულად ითვლება მისი გაგზავნიდან 1 სამუშაო საათის გასვლის შემდომ.
11.3. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ უფლებამოსილნი არიან წინასწარ მიანიჭონ მინდობილობა საკუთარ წარმომადგენელს, რომელიც აღჭურვილი იქნება უფლებამოსილებით წარმოადგინოს მხარე ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
11.4. მხარეთა მიერ რეკვიზიტების/საკონტაქტო პირების/ელ.ფოსტის ცვლილების შეუტყობინებლობის შემთხვევაში, ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ბოლოს ცნობილ მისამართზე, ელექტრონულ ფოსტაზე, გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად.
11.5. წარმომადგენლისთვის (მინდობილი პირისთვის) მინდობილობის გაუქმების შესახებ მეორე მხარის შეტყობინებამდე, ასეთი წარმომადგენლისაგან მიღებული შეტყობინება ჩაითვლება მხარის ნების გამოვლენად.

12. დასკვინითი დებულებები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი, მიღება-ჩაბარების აქტი, მხარეთა შორის მომავალში გაფორმებული შეთანხმებ(ებ)ის ჩათვლით, წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ამასთან, ხელშეკრულების და ხელშეკრულების დანართის/შეთანხმებების პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, ამგვარი დანართის/შეთანხმების პირობებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც დადებულია ამგვარი დანართი.
12.2. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.
12.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ წერილობით შეთანხმების სახით.
12.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები სავალდებულოა შესასრულებლად, როგორც მხარეებისათვის, ისე მათი უფლებამონაცვლეებისათვის.
12.5. ხელშეკრულების რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად

ხელშეკრულების ან/და მისი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

12.6. ხელშეკრულების მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება

12.7. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების სარგებლობის დაყოვნება არ მოიაზრება ამ უფლების გამოყენებაზე უარის თქმად არ ართმევს მხარეს უფლებას მომავალში გამოიყენოს იგივე უფლება. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლებით სარგებლობის არ გამოყენება, ასევე არ ართმევს მხარეებს უფლებას მომავალში ისარგებლონ ამ უფლებით.

12.8. ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

ხელმოწერილია:
ხელშეკრულება და ხელშეკრულების დანართები ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით.

ვიზირებულია:
სსიპ „იუსტიციის სახლის“ შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მიერ.
სსიპ „იუსტიციის სახლის“ შესყიდვების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის მიერ.
სსიპ „იუსტიციის სახლის“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მიერ.

ქ. თბილისი 23 იანვარი 2024 წ.

პორტალით მოსარგებლე უფლებამოსილი პირები				
	სახელი; გვარი	**E-mail**	**მობილურის ნომერი**	**მომხმარებელი**
1.	ია სურგულაძე	isurguladze@psh.gov.ge	599409909	
2.	მარიამ შუბითიძე	marshubitidze@psh.gov.ge	574050105	
3.	თამარ ქევხიშვილი	tkevkhishvili@psh.gov.ge	577481111	
4.	სსიპ„იუსტიციის სახლის" ბალანსი		591956133	

შემსყიდველის საკონტაქტო პირები			
	სახელი; გვარი	**E-mail**	**მობილურის ნომერი**
1.	ია სურგულაძე	isurguladze@psh.gov.ge	599409909

მაგთიკომის საკონტაქტო პირები			
	სახელი; გვარი	**E-mail**	**მობილურის ნომერი**
1.	თამარ მახოშვილი	Tamar.makhoshvili@magticom.ge	577208021
2.	მედეა მგელაძე	Medea.mgeladze@magticom.ge	591040434

Digitally signed by MagtiCom LLC
2024.01.23 17:28:14 +0400
მაგთიკომი
MAGTICOM